ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის
დავით შარაშიძის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტისა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს „დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. "საგზაო ნიშნები" და "საგზაო მონიშვნები" განთავსებული დუმბაძის ქუჩის მარჯვენა მხარეს, ყოფილი წიგნების მაღაზიის წინ, ავტობუსების გაჩერების ადგილი ზღუდავს გზაჯვარედინზე გამავალ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლთა მხედველობის არეალს. აღნიშნული ცვლილების განხორციელება მიზნად ისახავს ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ პროექტს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ირაკლი ახობაძე.

მუნიციპალიტეტის მერი: **დავით შარაშიძე**